

მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ლიკვიდაციასთან დაკავშირებით



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

№ბს-1081-661(კ-05)

31 ოქტომბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა  
შემადგენლობა:

კონსტანტინე კუბლაშვილი (თავმჯდომარე),  
ნინო ქადაგიძე (მომხსენებელი),  
მიხეილ გოგიშვილი,  
მაია ვაჩაძე,  
ნუგზარ სხირტლაძე,  
ნანა კლარჯეიშვილი,  
ბესიკ კობერიძე,  
როზა ნადირიანი,  
ირაკლი ბიბილაშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი – ზ. ბ.-ი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საოლქო სასამართლოს  
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო  
პალატის 2005 წლის 14 ივნისის განჩინება

დავის საგანი – სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი                    ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 13 აგვისტოს ზ. ბ.-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ მისი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1984 წლის მარტიდან 2004 წლის 14 ივლისამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე, აქვს მუშაობის უწყვეტი სტაჟი, ბოლო პერიოდში მუშაობდა სამინისტროს იურიდიულ პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის მთავარ სპეციალისტად.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და შეიქმნა ლიკვიდირებული სამინისტროს უფლებამონაცვლე სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც გადაეცა მისი უფლება-მოვალეობანი მთლიანად, ანუ არ შეწყვეტილა ყოფილი სამინისტროს საქმიანობა, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სრულიად შეუსაბამოა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ლიკვიდაციასთან.

მოსარჩელის მითითებით, 2004 წლის 25 მარტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციის მიერ ყველა მოხელე გაფრთხილებულ იქნა ერთი თვის ვადაში მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, მაგრამ, ფაქტობრივად, გაფრთხილებიდან სამთვენახევრის დაგვიანებით სამინისტროს ყველა თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანების საფუძველზე, რაც, მოსარჩელის მითითებით, ეწინააღმდეგებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

ამასთან, ახლად შექმნილ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შენარჩუნდა იმავე რაოდენობის საშტატო ერთეული, რომელიც დამტკიცებული იყო ყოფილი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში, აქედან გამომდინარე, ყველა თანამშრომელი უნდა დაკმაყოფილებულიყო სამუშაო ადგილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანების ბათილად ცნობას, იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

მოპასუხემ - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არასწორია მოსარჩელის მითითება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 97-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 108-ე მუხლის დარღვევის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით განხორციელდა სამინისტროს ლიკვიდაცია, გაუქმდა ის სამსახური, რომელშიც მოსარჩელე საქმიანობდა და ახლად შექმნილ სამინისტროში ჩამოყალიბდა ახალი იურიდიული სამსახური, სადაც სამუშაოდ მიიღებიან იურიდიული განათლების მქონე პირები. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ზ. ბ.-ი განათლებით იყო ეკონომისტი და არ გააჩნდა იურიდიული განათლება.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ბ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით განხორციელდა სამინისტროს ლიკვიდაცია, რასაც შედეგად მოჰყვა საშტატო განრიგის გაუქმება და ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება, რის გამოც მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება იყო კანონიერი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ.-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას შეფასება არ მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც შელახა მისი შრომითი უფლებები. სამინისტრომ იგი სამსახურიდან გაათავისუფლა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე, 93-ე, 96-ე, 97-ე, 112-ე, 127-ე და შრომის კანონთა კოდექსის მე-17, 34-ე, 35-ე, 41-ე მუხლების დარღვევით, ისე, რომ არ გაითვალისწინა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რომელიც არ ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციას. ამდენად, აპელანტის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაში წარმოშობილი სამსახურებრივი დავა სასამართლოს მიერ განიხილება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, აპელანტის მითითებით, ეს არის იმპერატიული მოთხოვნა და იმ შემთხვევაში თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანება არ შეესაბამებოდა აღნიშნული კანონის 35-ე მუხლს, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, 279-ე მუხლის „ე“ პუნქტით და სადავო ბრძანება ეცნო ბათილად, როგორც იერარქიის თვალსაზრისით დაბლა მდგომი.

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ ასევე მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ სამინისტროს მოხელეები მოსალოდენლი გათავისუფლების თაობაზე არ გაუფრთხილებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლით დადგენილი წესით. იგი სამუშაოდან გაათავისუფლეს გაფრთხილებიდან სამთვენახევრის გასვლის შემდეგ.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით სამინისტროს ლიკვიდაცია არ მომხდარა, ფაქტობრივად, განხორციელდა მისი რეორგანიზაცია იმავე საშტატო რიცხოვნობის შენარჩუნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანების ბათილად ცნობას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივნისის განჩინებით ზ. ბ.-ის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის კანონით განსაზღვრულ სამინისტროთა ჩამონათვალში არ შევიდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. საქართველოს პრეზიდენტის 2004

წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით დადასტურდა სამინისტროს ლიკვიდაცია, დამტკიცდა სამინისტროს სალიკვიდაციო კომისია, ამავე ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლედ, რაც, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ განხორციელდა სამინისტროს ლიკვიდაცია და არა რეორგანიზაცია.

ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მოპასუხე ორგანიზაციის მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციას მითითებული მუხლი იმპერატიულად ავალდებულებს შესაძლო გათავისუფლების თაობაზე ერთგვანი ვადის დაცვას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ გამოყენებულ იქნეს მინიმალურ ვადაზე მეტი.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ.-მა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის აშკარა კანონდარღვევით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულების მე-6, მე-12 პუნქტებისა და მე-14 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის უხეში დარღვევით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე, 93-ე მუხლების, 96-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების, 97-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, 112-ე მუხლის, 127-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების, მე-15, 21-ე, 22-ე, მე-17, 29-ე მუხლებისა და შრომის კანონთა კოდექსის მე-17, 34-ე, 35-ე, 41-ე, 42-ე, მე-2 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, 30-ე მუხლების უხეში დარღვევით საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანებით იგი გათავისუფლდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იურიდიული, პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან და ამ სამინისტროს უფლებამონაცვლე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიულ სამმართველოში არ მიიღეს მთავარ სპეციალისტად.

კასატორის განმარტებით, განჩინების მიღებისას სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლში არ იყო მოხსენიებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაცია, ასევე, არც საქართველოს სოფლის

მეურნეობის სამინისტრო. გამომდინარე აქედან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, სამთავრობო დაწესებულებებში წარმოშობილი სამსახურებრივი დავა სასამართლოს მიერ განიხილება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ეს იმპერატიული მოთხოვნაა. სასამართლოს ასევე უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, სადაც მითითებულია, რომ თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება კანონის მიხედვით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კანონს უპირატესი ძალა აქვს კანონქვემდებარე აქტების მიმართ, გამომდინარე აქედან, სასამართლოს ბათილად უნდა ეცნო მინისტრის ბრძანება. ამასთან, დარღვეულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნა აღნიშნულ ბრძანებულებასა და მინისტრის ბრძანებას არ ახლავს განმარტებითი ბარათი და სხვა დოკუმენტაცია.

კასატორის მითითებით, სასამართლო კოლეგიამ ფაქტობრივად დააკმაყოფილა მოპასუხის შესაგებელი, რომელმაც, სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, მიუთითა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციამ სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა ნაწილს 2004 წლის 25 მარტს წარუდგინა ე.წ გაფრთხილების ფურცელი სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე, იმპერატიული მოთხოვნით, რომ სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. მოსარჩელე კი სამსახურიდან გაათავისუფლეს ე.წ გაფრთხილებიდან სამთვენახევრის გასვლის შემდეგ. სასამართლოს მოსაზრებით, ერთთვიანი ვადის შეცვლა სამთვენახევრიანი ვადით თითქოს დარღვევა არ არის, ვინაიდან ამ სამი თვის განმავლობაში მუშაობდა და ხელფასს იღებდა. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მითითებული განმარტება ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულების მე-6 პუნქტს, რომლის შესაბამისად, სამინისტროს სალიკვიდაციო კომისიას მუშაობა უნდა დაემთავრებინა 2004 წლის 12 მაისს, ასევე ეწინააღმდეგება ამ ბრძანებულების მე-12 პუნქტს, რომლის ბოლო

აბზაცში ნათქვამია, რომ „განუხრელად უნდა იქნეს დაცული გაფრთხილების ვადები“. ამ შემთხვევაში გაფრთხილების ფურცელს არავითარი მტკიცებულების ძალა არ ჰქონდა, მან ძალა დაკარგა 2005 წლის 25 აპრილს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე და 108-ე მუხლების შესაბამისად.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტი ავალდებულებდა სამთავრობო დაწესებულებებს ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში, ე.ი. 12 მაისამდე, საქართველოს პარლამენტში წარედგინა ამ კანონით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისა და ფუნქციების განაწილების განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო აქტების პროექტები. ამის შესაბამისად, განისაზღვრა სალიკვიდაციო კომისიის მიერ მუშაობის დამთავრება 2004 წლის 12 მაისამდე.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულების მე-14 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ფუნქციები გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როგორც ამ სამინისტროს უფლებამონაცვლეს, ისე, რომ არ შეწყვეტილა სამინისტროს საქმიანობა. ფაქტობრივად, განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, ამავე დროს შენარჩუნდა იმავე რაოდენობის 189 საშტატო ერთეული, რაც 2004 წლის 1 იანვრისთვის გათვალისწინებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის, რაზეც სასამართლოს უნდა ემსჯელა.

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარი უფლებამონაცვლის შექმნა არ წარმოადგენს ლიკვიდაციის საფუძველს, ამ შემთხვევაში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში განხორციელდა არა ლიკვიდაცია, არამედ რეორგანიზაცია.

სამინისტროს იურიდიულ სამმართველოში საშტატო რიცხოვნობა არ შემცირებულა, პირიქით, ერთი ერთეულით გაიზარდა და ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღეს გარეშე პიროვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, ვინაიდან სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო მოპასუხის არასწორ შესაგებელს და არასწორ მოსაზრებებს, არასწორი შეფასება მისცა საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც დაარღვია სსკ-ს 105-ე მუხლის მოთხოვნები,

არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

აქედან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივნისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ზ. ბ.-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო წესით საქმის განმხილველი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კასატორი ა. ბ.-ი 1984 წლის მარტიდან 2004 წლის 14 ივლისამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2004 წლის 25 მარტს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ყველა თანამშრომელი, მათ შორის, კასატორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გაფრთხილდა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის №53-კ ბრძანებით კასატორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მითითებულ ბრძანებას საფუძველად დაედო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის I ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტების დარღვევის თაობაზე და მიუთითებს შემდეგზე:



კასატორ ზ. ბ.-ის მოთხოვნის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციას, ამასთან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულების მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლედ. კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული აქტებიდან გამომდინარე, სახეზეა სამინისტროს რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის ფაქტი, რის გამოც არ არსებობდა მის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მსჯელობა ემყარება კანონის ნორმათა არასწორ განმარტებას და კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი, სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად შექმნილ 13 სამინისტროს შორის ერთ-ერთ სამინისტროდ, ნაცვლად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსი, მიუთითებს სოფლის მეურნეობის სამინისტროზე.

ამავე კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს სახელმწიფო დეპარტამენტების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად რეორგანიზაციასა და მათი შესაბამისი სამინისტროებისათვის გადაცემაზე, ხოლო 35-ე მუხლის მე-8 ნაწილით კი დადგენილია, რომ ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები უნდა ჩაითვალოს ლიკვიდირებული დაწესებულების უფლებამონაცვლედ.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული მუხლი არ შეიცავს არანაირ მითითებას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი შემოიფარგლა სამინისტროსათვის სახელის შეცვლით და მოცემულ კანონს არ განუსაზღვრია სამინისტროს ლიკვიდაციისა თუ რეორგანიზაციის საკითხი. აღნიშნული საკითხი გადაწყდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებით, რომლის პირველი პუნქტიც ერთმნიშვნელოვნად ადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციას.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებულების კანონიერება სადავოდ არ ქცეულა საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე.

ის გარემოება, რომ ამავე ბრძანებულების მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლედ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მოსაზრებით, არ ცვლის ამავე ბრძანებულების I ნაწილს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საუბარია სამინისტროს მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ უფლებამონაცვლეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მითითებული პუნქტი გამორიცხავდა ამავე ბრძანებულების I პუნქტს, რომელიც შეიცავს ცალსახა მითითებას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციაზე.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება საუბარი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებას შორის ნორმათა კოლიზიაზე, ვინაიდან ნორმათა კოლიზია მაშინ ხდება, როცა ერთი და იმავე შემთხვევის, ერთი და იმავე ურთიერთობის რეგულირება გათვალისწინებულია ორი ან რამდენიმე ნორმით, რომლებიც თავისი შინაარსით არ შეესაბამებიან ერთმანეთს და სხვადასხვანაირად წყვეტენ ერთსა და იმავე საკითხს.

იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან მიმართებაში არ ადგენს რაიმე სპეციალურ ნორმებს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №81 ბრძანებულებაში საუბარია წინამდებარე სამინისტროს ლიკვიდაციაზე, კასატორის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა მომხდარიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის სამსახურიდან დათხოვნისას არ დარღვეულა ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. ბ.-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივნისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.